



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

უმალესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო
პროგრამებისთვის

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 2026 წლის 16 მარტი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2026 წლის 27 აპრილი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემადგამებელი ცხრილი.....	10
IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	12
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.....	12
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	31
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	33
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	44

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიული პირი, შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405155638
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სტეფან ვეიტი ბრემენის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მედეა ჯანჯღავა მომავლის ლაბორატორია, საქართველოს უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, შპს, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ნიუ ვიუენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მხეიძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო, თბილისი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Business Administration
უმაღლესი საფეხური/პროგრამა	განათლების ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მითითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაცია განხორციელდა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (BTU) „ბიზნეს ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამის მოცულობაა 180 ECTS კრედიტი. ეს არის ახალი პროგრამა, რომელსაც არ გაუვლია წინა აკრედიტაცია ან ავტორიზაცია. კრედიტები ასეა გადანაწილებული:

- სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი: 36 კრედიტი
- არჩევითი თავისუფალი კომპონენტი: 6 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 126 კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი: 12 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება BTU-ს კამპუსში, მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. N82, თბილისი, 0162, საქართველო.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გადაეცათ 57-გვერდიანი თვითშეფასების ანგარიში (SER) და თანდართული დოკუმენტაცია. თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენილი იყო ინგლისურ ენაზე. დანართები წარმოდგენილი იყო როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. ესენია: კურიკულუმი და სილაბუსები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სია, პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია, შეფასების მექანიზმი, ხარისხის უზრუნველყოფის (QA) ანალიზი, ასევე ფინანსური და ბიუჯეტთან დაკავშირებულ ინფორმაცია. უნივერსიტეტმა დოკუმენტაცია დროულად წარმოადგინა.

აკრედიტაცია განხორციელდა BTU-ში, 2026 წლის 16 მარტს, წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუები ჩაატარა შემდეგ ჯგუფებთან:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- თვითშეფასების ჯგუფთან,
- პროგრამის ხელმძღვანელთან,
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან,
- აკადემიურ პერსონალთან
- მოწვეული პერსონალთან,
- დამსაქმებლებთან
- სტუდენტებთან და
- კურსდამთავრებულებთან.

ვიზიტის დროს, ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობები და გაეცნო სასწავლო პროცესისთვის ხელმისაწვდომ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მათ შორის ბიბლიოთეკას, სასწავლო აუდიტორიებსა და IT ინფრასტრუქტურას. ვიზიტის დასასრულს ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რათა წარმედგინათ პირველადი მიგნებები. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს დამატებითი დოკუმენტაცია არ მოუთხოვია.

ვიზიტი კოლეგიალურ და ძალიან კონსტრუქციულ ატმოსფეროში წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფს სურს აღნიშნოს უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტსა და სამსახურს შორის ღია და კარგად ორგანიზებული კომუნიკაცია და გამოხატავს გულწრფელ მადლობას ყველა მონაწილის მიმართ თანამშრომლობისა და ვიზიტის დროს გამართულ დისკუსიებში მათი აქტიური ჩართულობისთვის.

▪ საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

არ არის მითითებული.

▪ **რჩევები**

სტანდარტი 1,4:

1. სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ადგილობრივ სტუდენტებსაც მისცეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შესაძლებლობა, შესაბამისი წინაპირობებისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით, რათა იმ სტუდენტებმაც, რომლებიც არ მონაწილეობენ გაცვლით პროგრამაში, შეძლონ სამეცნიერო დასკვნითი ნაშრომის შესრულება პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხისთვის დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

სტანდარტი 1,5:

2. სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მათი გამოყენების ნებადართულ და აკრძალულ ფორმებს, გამოყენების დეკლარირების ვალდებულებას, აგრეთვე არადეკლარირებული გამოყენების შემთხვევაში შესაბამის შედეგებსა და პასუხისმგებლობას. პოლიტიკა უნდა ინტეგრირდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დებულებაში, რომლებიც პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპზე ეცნობება სტუდენტებს.
3. სასურველია, შინაარსობრივად განახლდეს "წერის ტექნიკის" სილაბუსი და არსებულ თემატიკას დაემატოს ხელოვნური ინტელექტის წერის ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები. ამ ხარვეზის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტის კრიტიკული შეფასება, მისი პასუხისმგებლიანი გამოყენება აკადემიურ და პროფესიულ გარემოში და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებთან შესაბამისობა.

სტანდარტი 2.2:

4. პროგრამის შინაარსის გამდიდრების მიზნით, სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა განიხილოს პროგრამაში გარე პრაქტიკის ან სტაჟირების კომპონენტის ფორმალურად ინტეგრირება. თუ არსებული 180-კრედიტის ფარგლებში სავალდებულო გარე პრაქტიკის დაუყოვნებლივ დანერგვა ვერ ხერხდება, BTU-ს შეუძლია გამოიყენოს დამსაქმებლებთან უკვე არსებული თანამშრომლობის ფორმები. მაგალითად, კარიერული განვითარების ცენტრის სამუშაო ვიზიტები. ასევე, შესაძლებელია ამ აქტივობების ფორმალიზება და მათი უფრო მკაფიო სტრუქტურული დაკავშირება ბიზნეს-პროექტის დასკვნით კომპონენტთან. ეს შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის მიზნების საფუძველზე.

სტანდარტი 4.1:

5. სასურველია დაწესებულებამ წახალისოს პროგრამაში ჩართული ასოცირებული პროფესორები, რომლებსაც ჯერ არ აქვთ დოქტორის ხარისხი, რათა მათ შეძლონ შესაბამის სფეროში დოქტორის კვალიფიკაციის მოპოვება. აღნიშნული კიდეც უფრო გააძლიერებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიურ პოტენციალსა და გრძელვადიანი განვითარების შესაძლებლობებს.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴**

არ არის მითითებული.

▪ **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

უნივერსიტეტი არგუმენტირებულ პოზიციაში ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიგნებებსა და რჩევებს. ექსპერტთა ჯგუფი მადლიერებას გამოხატავს დაწესებულების თანამშრომლობისადმი და აკრედიტაციის პროცესის განმავლობაში შენარჩუნებული კონსტრუქციული და ღია დიალოგისთვის.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

- პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა; ხელმძღვანელთა სამუშაო დატვირთვის სქემა პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 47 პირი, მათ შორის 31 აკადემიური პერსონალი (10 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი) და 16 მოწვეული სპეციალისტი, მათ შორის ერთი საერთაშორისო ექსპერტი. BTU-ს არ ჰყავს ცალკე სამეცნიერო პერსონალი საქართველოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 37¹ მუხლის გაგებით (რომელიც სამეცნიერო პერსონალს განსაზღვრავს როგორც დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში დასაქმებულ მეცნიერებს). ეს შეესაბამება BTU-ს ინსტიტუციურ პროფილს, როგორც სასწავლო პროცესზე ორიენტირებულ კერძო უნივერსიტეტს; სამეცნიერო საქმიანობა ინტეგრირებულია აკადემიური პერსონალის საქმიანობაში.

31 აკადემიური პერსონალიდან 20-ს აქვს დოქტორის ხარისხი შესაბამისი დარგობრივი მიმართულებით; დამატებით, 3 მოწვეულ თანამშრომელს ასევე გააჩნია დოქტორის ხარისხი, რის შედეგადაც პროგრამაში ჩართული დოქტორის ხარისხის მქონე პირების საერთო რაოდენობა შეადგენს 23-ს. 11 აკადემიურ პერსონალს უმაღლეს კვალიფიკაციად მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი.

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა შეადგენს 31:16-ს, ანუ 1.94:1-ს, რაც მნიშვნელოვნად აღემატება აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრულ მინიმალურ

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

ზღვარს — 1:1-ს. 31 აკადემიური პერსონალიდან 13 (42%) არის აფილირებული, რაც მისაღებ მაჩვენებლებში ჯდება და ასახავს დარგის პრაქტიკოსებისა და პარტნიორი ინსტიტუციების ჩართულობას.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

თვითშეფასების ანგარიშში კვლევითი მაჩვენებლები მოცემულია მთლიანად BTU-ს მასშტაბით; მონაცემები არ არის დაყოფილი არც პროგრამის და არც ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიხედვით. აღნიშნული შეზღუდვის ფარგლებში, მოყვანილი მაჩვენებლები შესამჩნევია: 2025 წელს საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნდა დაახლოებით 40 რეცენზირებადი სტატია, ხოლო პერსონალმა მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტ საერთაშორისო კონფერენციაში, რაც მიუთითებს კვლევით საქმიანობაში აქტიურ ჩართულობაზე. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისთვის წარდგენილი 11 საგრანტო განაცხადიდან 4-ის დაფინანსება დაახლოებით 36%-იან წარმატებას ნიშნავს, რაც განვითარებად, თუმცა პროდუქტიულ კვლევით კულტურაზე მიუთითებს. COST-ის წევრობა, 2025 წელს ორ ERASMUS Virtual Exchange პროექტში მონაწილეობა და 2024 წელს თბილისში ENIS-ის ყოველწლიური კონფერენციის მასპინძლობა თვალნათლივ აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი საერთაშორისო აკადემიურ ქსელებში სრულფასოვნად არის ინტეგრირებული. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი კვლევითი პროფილი შეესაბამება პრაქტიკაზე ორიენტირებულ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას, თუმცა აღნიშნავს, რომ კვლევის მონაცემების პროგრამის დონეზე დიფერენცირება გააძლიერებს მომავალ თვითშეფასებებს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
 - შენიშვნა: პროგრამა ახალია და აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი წლების მიხედვით არ არის ხელმისაწვდომი. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით (გვ. 36), BTU-ის არსებულ პროგრამებში პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი „პრაქტიკულად 100%-ია“; თუმცა პროგრამის მიხედვით დიფერენცირებული მონაცემები არ არის წარმოდგენილი.
 - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა: არ არის მითითებული
 - დაწესებულებიდან წასული პერსონალის რაოდენობა: არ არის მითითებული
 - ახალი პერსონალის რაოდენობა: არ არის მითითებული
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;
 - ჩარიცხულ პირთა რაოდენობა (ბოლო 5 წლის განმავლობაში): არ არის მითითებული (პროგრამა ახალია)
 - პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; თვითშეფასების ანგარიშში არ არის მითითებული
 - სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით; არ არის მითითებული (პროგრამა ახალია)
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- ბიბლიოთეკა: 7,538 ბეჭდური ერთეული (2023 წლიდან გაზრდილი 4,482-ით); 13 სამეცნიერო ელექტრონული მონაცემთა ბაზა (მათ შორის: Scopus, ScienceDirect, EBSCO, Cambridge University Press Journals)
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა; უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 30 უკაბელო წვდომის წერტილი (wireless access point); ერთდროულად უკაბელო ქსელით სარგებლობს საშუალოდ 400 მომხმარებელი; საერთაშორისო ინტერნეტკავშირის სიჩქარე შეადგენს 100 მბ/წმ-ს, ხოლო შიდა ქსელის სიჩქარე — 1 000 მბ/წმ-ს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

არ არის მითითებული (პროგრამა ახალია).

III. პროგრამის

სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1,3	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4.	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები;	შესაბამისობაშია
2,4	სტუდენტის შეფასება	შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
3.1	3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	არ ეხება
4.3	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4,4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია
4.5.	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5,3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო
პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

[უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმალესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

რჩევები

უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე

სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე

[შეფასების](#)

[კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში (BTU) ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალვრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. ისინი შემუშავდა სტრუქტურირებული, ალგორითმულად განსაზღვრული პროცესის ფარგლებში, რომელიც რეგულირდება BTU-ის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიით. პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები და პარტნიორი უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი ეფუძნებოდა ქართული და საერთაშორისო შრომის ბაზრის ანალიზს, უცხოური ანალოგებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას, აგრეთვე უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს ბიზნესის ადმინისტრირებაში (ISCED 0413).

პროგრამის მიზანია მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც შეძლებენ ეფექტიანად ოპერირებას გლობალურად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში. ამ მიზნით, პროგრამა ეფუძნება საბაზისო ბიზნესდისციპლინების ინტეგრირებულ ცოდნას, ხელს უწყობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას, ავითარებს ლიდერულ კომპეტენციებს და ხაზს უსვამს ეთიკური ქცევისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას. აღნიშნული მიზნები მკაფიოდ არის ასახული პროგრამის კურიკულუმში. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ პროგრამის გუნდს კარგად ესმის მიზნები. პროგრამის მიზნები ასახავს თანმიმდევრულ ხედვას: BTU-მ ეს ინგლისურენოვანი პროგრამა მიზანმიმართულად შეიმუშავა, როგორც ინსტიტუციური სტრატეგიის ფართო ჩარჩოს ნაწილი, რომლის მიზანია სასწავლო შეთავაზების ინტერნაციონალიზაცია და როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, რომლებსაც შეუძლიათ ოპერირება საერთაშორისო პროფესიულ გარემოში. აღნიშნული სტრატეგია პროგრამის მიზნებს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის და ხაზს უსვამს მის სპეციფიკურობას, რაც ახლად შეთავაზებული პროგრამებისთვის დამახასიათებელ სტანდარტს აღემატება.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მიზნები რეალისტური და მიღწევადია პროგრამის სტრუქტურის, შინაარსისა და არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით. ისინი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის აღმწერებს, ლოგიკურად არის დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი) და შეესაბამება BTU-ს

ინსტიტუციურ მისიასა და ფაკულტეტის მისიას. პროგრამის მიზნები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია პროგრამის ოფიციალური დამტკიცებამდე საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი BTU-ს ვებგვერდზე, რაც დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევდა გასცნობოდნენ და გამოეთქვათ მოსაზრებები პროგრამის საბოლოო წარდგენამდე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი (დანართი 01-G/01-E)
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი 03-G/03-E)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების საჭიროებების ანალიზი და საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილება (დანართი 07-G)
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები (დანართი 08-G)

რეკომენდაციები

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა განსაზღვრავს თორმეტ სწავლის შედეგს (PLO), რომლებიც აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელთა დადასტურებაც კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს დარგობრივ კომპეტენციებს, როგორცაა საქმიანი გარემოს ანალიზი, რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების მეთოდები, ფინანსური მონაცემების ინტერპრეტაცია, რისკების მართვა და პრაქტიკაზე დაფუძნებული პროექტირება, — ასევე ზოგად, ტრანსფერულ კომპეტენციებს (ინსტრუმენტულ, ინტერპერსონალურ და სისტემურ კომპეტენციებს), რაც შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეექვსე დონეს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება სწავლის სფეროს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და უმაღლესი განათლების საფეხურს. მათი ფორმულირება ეფუძნება ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს კომპეტენციების განვითარების შესახებ, ISCED 0413 კლასიფიკაციას და ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. შემუშავების პროცესი მოიცავდა დაინტერესებული მხარეების კონსულტაციებს დარგის სპეციალისტებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან; პროგრამა დადებითად შეაფასეს უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შემფასებლებმა, რომლებმაც დაადასტურეს მისი აკადემიური სიძლიერე და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის მზადყოფნა.

პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებს შორის შესაბამისობა დოკუმენტურად არის ასახული კურიკულუმის შესაბამისობის რუკაში (დანართი 04-E), რომელიც განსაზღვრავს თითოეული სავალდებულო კომპონენტის წვლილს ინდივიდუალური სწავლის შედეგების ფორმირებაში გაცნობის, გაღრმავებისა ან განმტკიცების დონეზე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული დოკუმენტაცია და დაადასტურა, რომ თითოეული სწავლის შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს პროგრამის სავალდებულო კომპონენტები, არც ერთი სწავლის შედეგი არ რჩება გაუთვალისწინებელი და შესაბამისობის მატრიცა შიდა ლოგიკის თვალსაზრისით თანმიმდევრულია.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია: თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები, ხოლო შედეგების მიღწევა სისტემატურად კონტროლდება როგორც პროგრამის, ასევე კომპონენტების დონეზე. ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, რომ სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება სტანდარტი 1.2-ის მოთხოვნებს.

ვინაიდან პროგრამა ახალია და მისი განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, სრული კურიკულუმი — სწავლის შედეგების ჩათვლით — ოფიციალურად ჯერ არ გამოქვეყნებულა. თუმცა BTU-მ დაადასტურა — და ექსპერტთა ჯგუფიც ეთანხმება — რომ აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში პროგრამის სრული კურიკულუმი, მათ შორის სწავლის შედეგები, გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდებზე (<https://btu.edu.ge/en/undergraduate-programs/> და <https://btu.edu.ge/sabakalavro-programebi/>), რის შედეგადაც სწავლის შედეგები ხელმისაწვდომი გახდება ყველა დაინტერესებული მხარისთვის, მათ შორის სტუდენტებისთვის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ინსტიტუციებისთვის. ეს შეესაბამება BTU-ის მიერ ყველა აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში დამკვიდრებულ პრაქტიკას. ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ სწავლის შედეგების დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის შესაბამისი მექანიზმები არსებობს და პროგრამის დაწყებისთანავე სრულად ამოქმედდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და თანდართული სიპაბუსები (დანართები 01-G/01-E)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მათ შორის, კურიკულუმის შესაბამისობის რუკა (დანართი 04-G/04-E)
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი 03-G/03-E)
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი (დანართი 11-G/11-E)

რეკომენდაციები

არ არის მიითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მიითებული.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემატური და კარგად დოკუმენტირებული მექანიზმი. პროცესი რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიითა და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოთი, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია BTU-ის ვებგვერდზე. მექანიზმი აერთიანებს შეფასების პირდაპირ მეთოდებს — სტუდენტთა მიღწევების შეფასებას პროგრამის ცალკეულ კომპონენტებში, რომლებიც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას — და არაპირდაპირ მეთოდებს, მათ შორის სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, კურსდამთავრებულთა უკუკავშირსა და აკადემიური მოსწრების მონაცემების ანალიზს.

თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები 5–10%-იანი დასაშვები გადახრით; აღნიშნული დიაპაზონის მიღმა დაფიქსირებული შედეგების შემთხვევაში ხორციელდება შესაძლო მიზეზების იდენტიფიცირება და, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება მაკორექტირებელი ღონისძიებები, რაც გულისხმობს პროგრამის კომპონენტის, მისი წინაპირობების, სწავლა-სწავლების მეთოდების ან კრედიტების განაწილების გადახედვას. კურიკულუმის რუკა აკონკრეტებს, პროგრამის რომელი კომპონენტი უწყობს ხელს თითოეული სწავლის შედეგის ფორმირებას და შეფასების რომელი ფორმა გამოიყენება ამ შედეგის მიღწევის დასადასტურებლად. რას შეეხება ინდივიდუალურ კურსებს, სილაბუსებში მოცემულია შესაბამისობის რუკები, რომლებიც აჩვენებს, როგორ უკავშირდება კურსის სწავლის შედეგები სწავლების მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ აღნიშნული მექანიზმები ინსტიტუციურად არის დანერგილი და პრაქტიკაში ეფექტიანად გამოიყენება. პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალმა შეძლეს შეფასების ციკლის დეტალურად აღწერა და განმარტეს, თუ როგორ გამოიყენება მისი შედეგები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ახლად შემუშავებული პროგრამაა, სრული შეფასების ციკლი ჯერ არ დასრულებულა; თუმცა, პროცედურული ჩარჩო უკვე არსებობს და პასუხისმგებელი მხარეები ნათლად არიან განსაზღვრულები. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შეფასების მექანიზმი კარგად არის შემუშავებული, მიზანშეწონილია და შესაბამეა სტანდარტის 1.3 მოთხოვნებს.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უწევს მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და გაანალიზების სწორად წარმართვისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონსულტაციას უწევს პერსონალს იმოქმედონ Tuning-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს ცალკეული კურსების დონეზე განსაზღვრული შედეგების პროგრამის დონის შედეგებთან შესაბამისობას, როგორც ეს ასახული პროგრამის კომპონენტთა შესაბამისობის რუკაში. სწავლის შედეგების შეფასების შედეგები, რომლებიც იზომება პროგრამის რუკაში განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით, ყოველწლიურად განიხილება პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ. მიღებული შეფასებების შედეგები ეცნობება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს, ხოლო შესაბამისი დასკვნები მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის სტუდენტებსა და დამსაქმებლებს, BTU-ის მიერ დამკვიდრებული უკუკავშირისა და მონიტორინგის მექანიზმების მეშვეობით, პროგრამის ხარისხის მართვის სქემის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- კურიკულუმი და სილაბუსები (დანართი 01-G/01-E)
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მათ შორის შესაბამისობის რუკა (დანართი 04-G/04-E)
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (BTU-ს ვებსაიტი)
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი (დანართი 11-G/11-E)

რეკომენდაციები

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მოცულობაა 180 ECTS კრედიტი, რომელიც განაწილებულია ექვს სემესტრზე (სამ აკადემიურ წელზე). ის შედგება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან და თავისუფალი კომპონენტისგან, საქართველოს კანონმდებლობისა და BTU-ს პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად ვითარდება საბაზისო ცოდნიდან უფრო მაღალ დონეზე, ხოლო იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც წინასწარ კომპეტენციებს მოითხოვს, განსაზღვრულია შესაბამისი წინაპირობები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას — ზოგადიდან სპეციფიკურისკენ და მარტივიდან რთულისკენ.

პროგრამის შინაარსი მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად სფეროებს - მენეჯმენტს, მარკეტინგს, ფინანსებს, მეწარმეობას, ბიზნეს ანალიტიკას, ციფრულ ინსტრუმენტებს და ბიზნეს ეთიკას - რასაც ავსებს ზოგადი კომპეტენციის კომპონენტები, მათ შორის წერის ტექნიკა (EBGE-02, I სემესტრი), ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები და სამართლის შესავალი კურსები და ასევე ინტეგრირებული შემაჯამებელი კურსი, ბიზნეს პროექტი (EBBM-09, 6 ECTS, VI სემესტრი). კურიკულუმის შესაბამისობის რუკა აჩვენებს, რომ ყველა სავალდებულო კომპონენტი მონაწილეობს სულ მცირე ერთი პროგრამის სწავლის შედეგის ფორმირებაში, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია როგორც პროგრამის შინაარსთან, ისე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის აღმწერებთან. პროგრამის არჩევითი ნაწილი სტუდენტებს სთავაზობს არჩევანს, რომელიც აღემატება მინიმალურ კრედიტების მოთხოვნას, რაც საშუალებას აძლევს მათ ჩამოაყალიბონ ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილი.

პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან, კერძოდ, ვილნიუსის უნივერსიტეტთან (ლიტვა), ვილნიუსის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან (ლიტვა), ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (IPB, პორტუგალია) და კიოლნის ტექნიკურ უმაღლეს სკოლასთან (გერმანია). ეს შეთანხმება, რომელსაც საფუძვლად უდებს უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები, სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიარონ სრული სემესტრი საზღვარგარეთ და დააგროვონ 30-მდე ECTS კრედიტი. აღნიშნული მობილობის შესაძლებლობები ნათლად ასახავს BTU-ის რეალურ ჩართულობას ინტერნაციონალიზაციის პროცესში და მონაწილე სტუდენტებს სთავაზობს ღირებულ საერთაშორისო სასწავლო გამოცდილებას. პროგრამა დადებითად შეფასდა უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შემფასებლების მიერ, მათ შორის მისი საერთაშორისო პარტნიორობებისთვის შესაბამისობის თვალსაზრისითაც.

თუმცა ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ საბაკალავრო ნაშრომი (EBBM 11, 6 ECTS) შეტანილია მხოლოდ IPB თან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში და არ არის ხელმისაწვდომი არჩევითი კომპონენტის სახით იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლის სრულ პერიოდს თბილისში ატარებენ. სავალდებულო დასკვნითი კომპონენტი „ბიზნესპროექტი“ (EBBM 09) მოიცავს ინტეგრირებულ, უნივერსიტეტში საფუძველზე შესრულებულ დავალებას და წარმოადგენს პროგრამის მნიშვნელოვან და ღირებულ ელემენტს. თუმცა, ის არ წარმოადგენს ტრადიციული გაგებით სამეცნიერო ნაშრომს — იგი არ მოითხოვს კვლევითი საკითხის დამოუკიდებლად ფორმულირებას, აკადემიურ ლიტერატურასთან სისტემურ მუშაობას ან სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის იმ დონეზე გამოყენებას, რომელიც მოსალოდნელია პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხისთვის. ეს დაადასტურა პროგრამის გუნდმა აკრედიტაციის ვიზიტის დროს.

შესაბამისად, სტუდენტებს, რომლებიც არ მონაწილეობენ გაცვლით პროგრამაში, ამჟამად არ აქვთ სტრუქტურირებული შესაძლებლობა შეასრულონ საბაკალავრო ნაშრომის ექვივალენტური დავალება, რაც გარკვეულ ხარვეზს წარმოადგენს პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხის სტანდარტებთან მიმართებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იძლევა შემდეგ რჩევას:

რჩევა 1: სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ადგილობრივ სტუდენტებსაც მისცეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შესაძლებლობა, შესაბამისი წინაპირობებისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით, რათა იმ სტუდენტებმაც, რომლებიც არ მონაწილეობენ გაცვლით პროგრამაში, შეძლონ სამეცნიერო დასკვნითი ნაშრომის შესრულება პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხისთვის დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ როგორც ახლადწარდგენილი პროგრამა, იგი ჯერჯერობით სრულად არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, რაც ლოგიკურია ახალი პროგრამების აკრედიტაციის პროცედურის გათვალისწინებით. BTU-მ ცალსახად აიღო ვალდებულება, რომ აკრედიტაციის შემდეგ, პროგრამის სრული კურიკულუმი, მათ შორის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, კრედიტების განაწილება, წინაპირობები და პროგრამის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია, გამოქვეყნდება მის ოფიციალურ ვებსაიტებზე. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება BTU-ის მიდგომას, რომელიც მოქმედებს ამჟამად აკრედიტებული ყველა პროგრამის შემთხვევაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული წინასწარი ვალდებულება, პროგრამის ხელმისაწვდომობასთან ერთად, რომელიც ასახულია მიმდინარე აკრედიტაციის დოკუმენტაციაში, აკმაყოფილებს ახლად შემუშავებული პროგრამებისთვის განსაზღვრული სტანდარტის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს
- საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი (დანართი 01-G/01-E)
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შემუშავების მეთოდოლოგია (დანართი 03-G/03-E)
- კურიკულუმის შესაბამისობის რუკა (დანართი 04-G/04-E)
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები (დანართი 08-G)
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების საჭიროებების ანალიზი და საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოცდილება (დანართი 07-G)

რეკომენდაციები

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- **რჩევა 1:** სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა ადგილობრივ სტუდენტებსაც მისცეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შესაძლებლობა, შესაბამისი წინაპირობებისა და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით, რათა იმ სტუდენტებმაც, რომლებიც არ მონაწილეობენ გაცვლით პროგრამაში, შეძლონ სამეცნიერო დასკვნითი ნაშრომის შესრულება პირველი საფეხურის აკადემიური ხარისხისთვის დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინდივიდუალური კურსების სილაბუსებში მითითებულია კომპონენტის დასახელება და სტატუსი, კრედიტების მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათები, წინაპირობები, მიზნები, კურსის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგები, კვირების მიხედვით განაწილებული შინაარსი, სწავლება- სწავლის მეთოდები, შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციების ზღვარი, აგრეთვე სასწავლო რესურსები (სავალდებულო და დამატებითი). აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სილაბუსები და დაასკვნა, რომ ისინი შიდა თანმიმდევრულობით ხასიათდება: კურსის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგები ლოგიკურად გამომდინარეობს იმ პროგრამის სწავლის შედეგებიდან, რომელთა ფორმირებასაც ეს კურსები ემსახურება; შეფასების დავალებები შეესაბამება დეკლარირებულ შედეგებს, ხოლო კრედიტების განაწილება ასახავს სტუდენტების რეალურ სამუშაო დატვირთვას. სილაბუსები საგანმანათლებლო პროცესის დაწყებამდე იტვირთება სასწავლო მართვის სისტემაში, რის შედეგადაც ისინი სწავლების დაწყებამდე ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი იყენებს აკადემიური კეთილსინდისიერების დამკვიდრებულ ჩარჩოს: ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს აკადემიური ქცევის ნორმებს, Turnitin სისტემატურად გამოიყენება წერილობით წარდგენილ დოკუმენტებში პლაგიატის გამოვლენისთვის და შესაბამისი წესები სტუდენტებს ეცნობებათ სილაბუსებისა და ინსტიტუციური დოკუმენტაციის მეშვეობით. აკრედიტაციის ვიზიტის დროს როგორც პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა აჩვენეს, რომ კარგად იცნობდნენ ამ პროცედურებს.

პროგრამის კურსის შინაარსსა და აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიკვეთა განვითარების ორი მიმართულება.

პირველ რიგში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ამ დროისთვის არ არსებობს საუნივერსიტეტო პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს სტუდენტების მიერ აკადემიურ ნაშრომებში ხელოვნური ინტელექტისა და გენერაციული ინსტრუმენტების გამოყენებას. ეთიკის კოდექსი და Turnitin-ზე დაფუძნებული პლაგიატის გამოვლენის სისტემა ეხება აკადემიური არაკეთილსინდისიერების ტრადიციულ შემთხვევებს, თუმცა ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ტექსტები აჩენს ახალ და განსხვავებულ საკითხებს, რომლებიც მოქმედი წესებით ჯერ არ არ რეგულირდება — კერძოდ, ინფორმაციის გამჟღავნებასთან, ავტორობის განსაზღვრასა და ინსტრუმენტების გამოყენების დასაშვები ფარგლების დადგენასთან დაკავშირებული საკითხები. აკრედიტაციის ვიზიტისას აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ამ ეტაპზე თითოეული ლექტორის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, რაც კურსებს შორის არათანმიმდევრულ მიდგომას იწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სრულად ინგლისურ ენაზე ხორციელდება და მკაფიოდ არის ორიენტირებული საერთაშორისო მობილობის მქონე სტუდენტებზე, მათ შორის უცხოელ კანდიდატებზე, რომელთაც შესაძლოა უკვე აქვთ ხელოვნური ინტელექტის წერილი ინსტრუმენტებთან მუშაობის გამოცდილება, ერთიანი ინსტიტუციური პოლიტიკის არარსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ხარვეზს, რომელიც ყურადღების მიქცევას საჭიროებს. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

რჩევა 2: სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მათი გამოყენების ნებადართულ და აკრძალულ ფორმებს, გამოყენების დეკლარირების ვალდებულებას, აგრეთვე არადეკლარირებული გამოყენების შემთხვევაში შესაბამის შედეგებსა და პასუხისმგებლობას. პოლიტიკა უნდა ინტეგრირდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დებულებაში, რომლებიც პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპზე ეცნობება სტუდენტებს.

მეორე, სავალდებულო კურსი „წერის ტექნიკა“ (EBGE 02) წარმოადგენს პროგრამის ძირითად კომპონენტს აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების განვითარების თვალსაზრისით. კურსი შეისწავლის წყაროების სანდოობას, ციტირების პრაქტიკას და აკადემიურ კეთილსინდისიერობას Turnitin-ის მეშვეობით, თუმცა მის მიმდინარე სილაბუსში არ არის მოცემული რაიმე კონკრეტული შინაარსი ხელოვნური ინტელექტის წერის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. კრიტიკული შეფასება საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ ამ რესურსების, როგორც ინფორმაციის წყაროს სანდოობა, მათი გამოყენების მიზანშეწონილობა აკადემიურ და პროფესიულ წერასა და რედაქტირებაში და ასევე ის გამოწვევები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას აკადემიური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით, როდესაც ნაშრომი ხელოვნური ინტელექტის დახმარებით იქმნება. ეს ხარვეზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ კურსი ტარდება კომპიუტერული მეცნიერებისა და ხელოვნური ინტელექტის პროგრამის სტუდენტებთან ერთად, სადაც სტუდენტების გაცნობიერება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, მაღალია. აკრედიტაციის ვიზიტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული შინაარსი მოქმედ სილაბუსში არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა:

რჩევა 3: სასურველია, შინაარსობრივად განახლდეს "წერის ტექნიკის" სილაბუსი და არსებულ თემატიკას დაემატოს ხელოვნური ინტელექტის წერის ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები. ამ ხარვეზის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტის კრიტიკული შეფასება, მისი პასუხისმგებლიანი გამოყენება აკადემიურ და პროფესიულ გარემოში და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებთან შესაბამისობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტის დროს
- მოწოდებული კურსის სილაბუსები, მათ შორის EBGE-02 წერის ტექნიკა (დანართი 01-G/01-E)
- BTU ClassRoom, უნივერსიტეტის ელექტრონული სასწავლო მართვის სისტემა
- BTU-ის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი (დანართი 11-G/11-E)

რეკომენდაციები

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- **რჩევა 2:** სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს მათი გამოყენების ნებადართულ და აკრძალულ ფორმებს, გამოყენების დეკლარირების ვალდებულებას, აგრეთვე არადეკლარირებული

გამოყენების შემთხვევაში შესაბამის შედეგებსა და პასუხისმგებლობას. პოლიტიკა უნდა ინტეგრირდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დებულებაში, რომლებიც პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპზე ეცნობება სტუდენტებს.

- **რჩევა 3:** სასურველია, შინაარსობრივად განახლდეს "წერის ტექნიკის" სილაბუსი და არსებულ თემატიკას დაემატოს ხელოვნური ინტელექტის წერის ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები. ამ ხარვეზის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების განხილვა, როგორცაა ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ტექსტის კრიტიკული შეფასება, მისი პასუხისმგებლიანი გამოყენება აკადემიურ და პროფესიულ გარემოში და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებთან შესაბამისობა.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამას აქვს მიღების მკაფიოდ განსაზღვრული წინაპირობები. პროგრამაზე ჩარიცხვა ძირითადად ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ინგლისური ენის ცოდნაა მინიმუმ B1 დონეზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე მიღება დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოთი დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

მიღების მოთხოვნები სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია პოტენციური კანდიდატებისთვის. ამ წინაპირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია პროგრამის კურსკულუმში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <https://btu.edu.ge/sabakalavro-programebi/>.

უნივერსიტეტი იყენებს სტუდენტური კონტინენტის დაგეგმვის სტრუქტურირებულ მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც პროგრამაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე ძირითადი ინდიკატორის საფუძველზე განისაზღვრება. ესენია: მიღებაზე მოთხოვნის დინამიკა (არსებული პროგრამების შემთხვევაში), ჩარიცხვის ტენდენციები, სტუდენტების მობილობა, ასევე მიღებისა და დამთავრების მაჩვენებლები, სხვა შესაბამის ობიექტურ ფაქტორებთან ერთად. ეს მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამაზე მიღების კვოტის ეფექტურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ განსაზღვრას. გარდა ამისა, დაწესებულება იყენებს მათემატიკურ პროგნოზირების მოდელს სტუდენტთა რაოდენობის პროგნოზირებისა და დაგეგმვის პროცესების მხარდასაჭერად. დადგენილი მეთოდოლოგიის თანახმად, შენარჩუნებულია მინიმუმ ერთი განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა 25 სტუდენტზე. წარმოდგენილი პროგრამა სრულად შეესაბამება ამ განაცხადს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და შესაბამისი პროცედურები განსაზღვრულია BTU-ის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებსა და საბაკალავრო პროგრამის რეგულაციებში. ყველა შესაბამისი დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია BTU-ს ოფიციალურ ვებსაიტზე: <https://btu.edu.ge/en/undergraduate-programs/> ეს ბმული შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- BTU-ს ვებგვერდი <https://btu.edu.ge/chven-shesakheb/maregulirebeli-dokument/>

რეკომენდაციები

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
2.1. <u>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</u>	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს უვითარებს უმაღლეს განათლებაში საბაკალავრო ხარისხისთვის საჭირო სწავლის შედეგებსა და პრაქტიკულ უნარებს. პროგრამა იყენებს ე.წ. „ჩაშენებული პრაქტიკის“ მიდგომას. ამ პრაქტიკის შესაბამისად, სწავლების თითოეული კურსი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს, რომლებიც მიმართულია კურსდამთავრებულის სპეციალური (დარგობრივი) და ზოგადი (უნივერსალური) კომპეტენციების ჩამოყალიბებისა და განვითარებისკენ.

წარდგენილი პროგრამა განსაზღვრავს 12 სწავლის შედეგს, რომელთა მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მეშვეობით. ცალკეული კურსების ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა ფორმატი, მათ შორის პრაქტიკული დავალებები, შემთხვევის ანალიზი, დავალებები, სავარჯიშოები და პროექტების მომზადება და პრეზენტაცია. ეს მიდგომები ხელს უწყობს საბაკალავრო პროგრამის დონის შესაბამისი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

გარდა ამისა, პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში, ვორქშოუბებსა და სემინარებში და წარადგინონ თავიანთი ნამუშევრები, მათ შორის დარგის სპეციალისტებისა და პოტენციური დამსაქმებლებისთვის. BTU-ს პროექტების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია BTU-ს ოფიციალურ ვებსაიტზე.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ითანამშრომლონ სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მემორანდუმების ფარგლებში განახორციელონ ვიზიტები, გაეცნონ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს, მიიღონ წვდომა ორგანიზაციის საზოგადოებრივ ინფორმაციაზე, შეიძინონ თანამედროვე ცოდნა და განვიითარონ პრაქტიკული უნარები რეალურ სამუშაო გარემოში. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის შემდგომი გაღრმავების მიზნით, მიზანშეწონილია, რომ დაწესებულებამ:

რჩევა 5: პროგრამის შინაარსის გამდიდრების მიზნით, სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა განიხილოს პროგრამაში გარე პრაქტიკის ან სტაჟირების კომპონენტის ფორმალურად ინტეგრირება. თუ არსებული 180-კრედიტის ფარგლებში სავალდებულო გარე პრაქტიკის დაუყოვნებლივ დანერგვა ვერ ხერხდება, BTU-ს შეუძლია გამოიყენოს დამსაქმებლებთან უკვე არსებული თანამშრომლობის ფორმები. მაგალითად, კარიერული განვითარების ცენტრის სამუშაო ვიზიტები. ასევე, შესაძლებელია ამ აქტივობების ფორმალიზება და მათი უფრო მკაფიო სტრუქტურული დაკავშირება ბიზნეს-პროექტის დასკვნით კომპონენტთან. ეს შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის მიზნების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- დანართი „საგანმანათლებლო პროგრამის რუკა“
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- BTU-ს ვებგვერდი <https://btu.edu.ge/chven-shesakheb/maregulirebeli-dokument/>

რეკომენდაციები

არ არის მითითებული.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- **რჩევა 5:** პროგრამის შინაარსის გამდიდრების მიზნით, სასურველია, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა განიხილოს პროგრამაში გარე პრაქტიკის ან სტაჟირების კომპონენტის ფორმალურად ინტეგრირება. თუ არსებული 180-კრედიტის ფარგლებში სავალდებულო გარე პრაქტიკის დაუყოვნებლივ დანერგვა ვერ ხერხდება, BTU-ს შეუძლია გამოიყენოს დამსაქმებლებთან უკვე არსებული თანამშრომლობის ფორმები. მაგალითად, კარიერული განვითარების ცენტრის სამუშაო ვიზიტები. ასევე, შესაძლებელია ამ აქტივობების ფორმალიზება და მათი უფრო მკაფიო სტრუქტურული დაკავშირება ბიზნეს-პროექტის დასკვნით კომპონენტთან. ეს შეიძლება განხორციელდეს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და მკაფიოდ განსაზღვრული სწავლის მიზნების საფუძველზე.

შეფასება

კომპონენტი	შეფასება
2.2. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

